სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 მარტი, 2026 წელი

# ბრძანება №01-04/44

„ბსუ-ს ფაკულტეტების დარგობრივ დეპარტამენტებში ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორების ფუნქციების დაკისრების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ოქტომბრის №01-04/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების, „2025 წლის სექტემბერში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის №06-01/77 დადგენილების, „2025-2026 სასწავლო წელს ბსუ-ს ფაკულტეტების დარგობრივი დეპარტამენტების შემადგენლობების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №01-04/149 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2026 წლის 05 მარტის №01-06/56 ბრძანების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 06 მარტის №281292 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს ფაკულტეტების დარგობრივ დეპარტამენტებში ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორების ფუნქციების დაკისრების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ოქტომბრის №01-04/168 ბრძანების №1 **დანართში** შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კოორდინატორების ცხრილის **მე-4 გრაფაში ასისტენტ-პროფესორ თამარ მაჭუტაძის** ნაცვლად ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორად მიეთითოს **ასოცირებული პროფესორი „ნანა მაზმიშვილი“** და **მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით:**

| № | ბსუ-ს ფაკულტეტის დასახელება | ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა |
|---|---|---|---|
| 4 | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტი | ასოცირებული პროფესორი **ნანა მაზმიშვილი** |
| | | ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი | პროფესორი **ნათელა ფარტენაძე** |
| | | ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი | ასისტენტ-პროფესორი **კახაბერ ქამადაძე** |
| | | აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტი | ასოცირებული პროფესორი **ლიანა ჭყონია** |
| | | ფილოსოფიის დარგობრივი დეპარტამენტი | ასოცირებული პროფესორი **ვარდო ბერიძე** |

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

**რექტორის მოადგილე**
**სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით**
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი** **გიორგი ქათამაძე**